- **სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის** ფარგლებში დასრულდა: აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს, ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსის, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს, ფოთის №1 პოლიკლინიკის, ბათუმის თამარის დასახლების პოლიკლინიკის, პირველი კლინიკური საავადმყოფოს, ვ. სანიკიძის სახელობის საქართველოს ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №2 კლინიკის მე-5 სართულის, გორის სისხლის გადასხმის სადგურის, ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრისა და ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ბრაქითერაპიის სამსახურის სათავსოების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. აგრეთვე, დასრულდა დიაბეტიან ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის, ფოთის №1 პოლიკლინიკის, გარდაბნის რაიონის სოფლების – აქტაკლიის და ჯანდარის, თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის, სენაკის რაიონის სოფელ გეჯეთის, ყვარელის რაიონის სოფელ წიწკანაანთსერის, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის ამბულატორიების, წალენჯიხის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების, დარჩელის ზონალური პოლიკლინიკისა და რუსთავის №2 პოლიკლინიკის სამედიცინო და საოფისე ავეჯითა და ინვენტარით აღჭურვა;


- **პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის** ფარგლებში დასრულდა 95 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის რეაბილიტაცია/მშენებლობა იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონების სოფლებში; 2007 წლის განმავლობაში საოჯახო მედიცინაში მზადება დაასრულა 504 ექიმმა და ექთანმა იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონებიდან; დასრულდა ქ. ქობულეთის პოლიკლინიკისა და რაიონული ლაბორატორიის რეაბილიტაცია/აღჭურვა; დამატებით, იმერეთის რეგიონში განხორციელდა ბაღდათის რაიონის სოფელ პირველი ოფჩის ამბულატორიის, შიდა ქართლში, გორის რაიონის ტყვიავის და ერედვის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის და ქ. თბილისში ტაბახმელას ამბულატორიის აღჭურვა;

- სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციის პროცესის ოპტიმიზაცია და ლიბერალიზაცია, გაუმჯობესდა ექსპორტიორებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა, ფარმაცევტულ ბაზარზე აღკვეთილ იქნა ფალსიფიცირებული და არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების მიმოქცევა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 241 042.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 223 336.3 ათასი ლარი, რაც 2006 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელზე 19 376.0 ათასი ლარით ნაკლებია.

2006-2007 წლებში გამოყოფილი
დაზუსტებული
ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	241,042.8	223,336.3	92.65%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1,263.4	1,261.9	99.88%
	დამქირავებელიდან ანარიცხები	252.6	252.5	99.95%


	მივლინებები	194.7	119.1	61.15%
	სხვა საქონელი და მომსახურება	1,197.0	676.3	56.50%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	200,481.7	182,788.9	91.17%
	კაპიტალური ხარჯები	268.4	266.4	99.27%
	დაკრედიტება	37,385.0	37,971.2	101.57%
36 01	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	2,973.6	2,387.6	80.29%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1,137.9	1,136.4	99.87%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	227.5	227.4	99.94%
	მივლინებები	190.0	116.7	61.40%
	სხვა საქონელი და მომსახურება	1,146.6	637.6	55.61%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	6.6	6.0	90.91%
	კაპიტალური ხარჯები	265.0	263.4	99.40%
36 02	საქართველოს ენერგოსისტემის სუბსიდირების ღონისძიებები	195,652.9	178,119.7	91.04%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	195,652.9	178,119.7	91.04%
36 02 01	ჰიდრო და თბოელექტროსადგურების რეაბილიტაცია	15,640.1	13,091.7	83.71%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	15,640.1	13,091.7	83.71%
36 02 01 01	ჰიდრო და თბოელექტროსადგურების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	15,640.1	13,091.7	83.71%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	15,640.1	13,091.7	83.71%
36 02 03	ელექტროენერჯით და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები	100,600.0	100,270.1	99.67%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	100,600.0	100,270.1	99.67%
36 02 05	სხვა დანარჩენი ღონისძიებები	8,562.5	4,239.9	49.52%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	8,562.5	4,239.9	49.52%
36 02 05 06	ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის შესწავლის ღონისძიება	8,075.0	4,239.9	52.51%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	8,075.0	4,239.9	52.51%
36 02 05 07	ნინოწმინდისა და რუსთავის გაზსაცავების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის შესწავლის ღონისძიება	437.5	0.0	0.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	437.5	0.0	0.00%

36 02 05 08	საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების ღონისძიება	50.0	0.0	0.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	50.0	0.0	0.00%
36 02 07	მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და მათი იმედიანობის გაზრდის მიზნით სარეაბილიტაციო ღონისძიებები	16,844.6	6,641.5	39.43%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	16,844.6	6,641.5	39.43%
36 02 09	ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	1,441.3	1,441.3	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1,441.3	1,441.3	100.00%
36 02 11	საგურამო-წითელი ხიდის მონაკვეთზე არსებული 700-800 მმ მაგისტრალური გაზსადენის სარეაბილიტაციო ღონისძიებები	52,000.0	52,000.0	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	52,000.0	52,000.0	100.00%
36 02 15	სსიპ „ენერგოგენერაცია“	309.4	309.4	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	309.4	309.4	100.00%
36 02 16	ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის თანამშრომელთა წინა წლების სახელფასო დაეკალიანების დაფარვის ღონისძიება	255.0	125.8	49.34%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	255.0	125.8	49.34%
36 04	ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო	209.1	194.7	93.10%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	125.5	125.5	100.00%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	25.1	25.1	100.00%
	მივლინებები	4.7	2.4	51.13%
	სხვა საქონელი და მომსახურება	50.4	38.7	76.71%
	კაპიტალური ხარჯები	3.4	3.0	88.65%
36 05	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსაზღვრული საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	42,207.2	42,634.5	101.01%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4,822.2	4,663.2	96.70%
	დაკრედიტება	37,385.0	37,971.2	101.57%

36 05 01	საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი	10,500.0	10,495.0	99.95%
	დაკრედიტება	10,500.0	10,495.0	99.95%
36 05 03	ლაჯანურისა და ხრამჭესის რეაბილიტაცია	2,400.0	3,025.4	126.06%
	დაკრედიტება	2,400.0	3,025.4	126.06%
36 05 04	ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის პროექტი	3,260.0	3,296.7	101.13%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3,260.0	3,296.7	101.13%
36 05 05	რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია I პროექტი (ალავერდი)	340.0	321.6	94.57%
	დაკრედიტება	340.0	321.6	94.57%
36 05 06	ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია I პროექტი	10,500.0	10,536.1	100.34%
	დაკრედიტება	10,500.0	10,536.1	100.34%
36 05 08	ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა	1,545.0	1,470.4	95.17%
	დაკრედიტება	1,545.0	1,470.4	95.17%
36 05 09	ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)	1,562.2	1,366.5	87.48%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1,562.2	1,366.5	87.48%
36 05 10	ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (ღ)	12,100.0	12,122.7	100.19%
	დაკრედიტება	12,100.0	12,122.7	100.19%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 0.57% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხების“ – 0.11%, „მივლინებების“ – 0.05%, „სხვა საქონელი და მომსახურების“ – 0.3%, „სუბსიდიები სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერების“ – 81.84%, „კაპიტალური ხარჯების“ – 0.12%, ხოლო „დაკრედიტების“ – 17.0%.

2007 წლის გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საანგარიშო პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირებისათვის, ელექტროსადგურების და ბუნებრივი გაზის სექტორში განხორციელდა სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ:

- ვარდნილჰესების კასკადზე - დასრულდა ვარდნილჰესის №2 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები, რომელიც სისტემაში ჩაერთო 2007 წლის 1 ივლისს 73 მვტ სიმძლავრით.

- ვარდნილჰესის №2 ჰიდროაგრეგატის ენერგოსისტემაზე მიერთების შემდეგ დაიწყო ვარდნილჰესის №1 ჰიდროაგრეგატის სარეაბილიტაციო სამუშაოები. №1 ჰიდროაგრეგატისათვის ავსტრიის “ფოიტ-სიმენსის” ქარხნიდან მოწოდებულ იქნა ალგზების ტირისტორული სისტემა, სიჩქარის რეგულატორი და მართვის კომპიუტერული სისტემა. დამთავრდა გენერატორის ახალი სტატორის სამონტაჟო სამუშაოები.

- ენერგოსისტემაში შექმნილი სიტუაციის გამო, კერძოდ მდ. ენგურზე მიმდინარე გასულ წელს გაზრდილი შემონადენისა და იმ მიზეზით, რომ ენგურჰესის მიერ გატარებული წყალი ხვდება ვარდნილჰესის წყალსაცავში, შეუძლებელი იყო ვარდნილჰესის აგრეგატების გაჩერება და ქვედა ბიეფის მხარეს სარემონტო სამუშაოების ჩატარება. აქედან გამომდინარე დროებით შეჩერდა აღდგენითი სამუშაოები ვარდნილჰესის ქვედა ბიეფზე და გასული წლის 1 ოქტომბრიდან მიღებულია გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ვარდნილჰესის ქვედა ბიეფის გამყვანი არხის აღდგენის მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია.

- დამთავრდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები 10 წლის წინ დაზიანებულ გუმათჰესის №6 ჰიდროაგრეგატზე და იგი ჩართულია სისტემაში 7,5 მვტ სიმძლავრით. გუმათჰესის №3 ჰიდროაგრეგატზე განხორციელდა აგრეგატისათვის გათვალისწინებული ახალი ტურბინისა და გენერატორის მოწოდება და დამონტაჟება.

- მცირე ჰესების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ფარგლებში სამაჩაბლოში დამთავრდა 950 კვტ სიმძლავრის კეხვიჰესის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დიდი ლიახვის სოფლების ელექტრომომარაგება.

- საქართველოსა და საზღვარგარეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდს შორის გაფორმებული ენერჯეტიკის აღდგენის პროექტის (ღ - 1) ფარგლებში სს „ლაჯანურჰესის“ №2 ჰიდროაგრეგატისა და ქვესადგურის რეაბილიტაციის სამუშაოების დასაფინანსებლად „სს ლაჯანურჰესის №2 ჰიდროაგრეგატისა და ქვესადგურის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 თებერვლის №122 განკარგულების თანახმად სს „ლაჯანურჰესის“ გამოეყო სესხის სახით ასიგნებები. 220/110/35 კვ ღია გამანაწილებელ ქვესადგურში შესრულდა ახალი მოწყობილობების დამონტაჟება და გაშვება-გაწყობის სამუშაოები. №2 ჰიდროაგრეგატზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შედეგად, სავარაუდოდ 2008 წლის აპრილის ბოლოს 37 მვტ სიმძლავრით ჩაერთვება სისტემაში. ლაჯანურჰესის №2 ჰიდროაგრეგატი დაზიანების გამო არ ფუნქციონირებდა 1993 წლის აპრილიდან.

- განხორციელდა ზემო აფხაზეთში 32 კმ სიგრძის 10 კვ ელექტროგადამცემი ხაზებისა და სატრანსფორმატორო პუნქტების დაპროექტება. 1 600 კვტ სიმძლავრის საკინეჰესისა და თუშეთის სოფლების ელექტროენერჯით მომარაგებისათვის მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებისა და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები.

- 2007 წლის სექტემბერში ზემო აფხაზეთის სოფელ საკინეში დაიწყო და 26 დეკემბერს დამთავრდა „საკინეჰესის“ მშენებლობა, რომლის სიმძლავრეა 1 600 კვტ, ელექტროსადგურში დამონტაჟებულია 800-800 კვტ. სიმძლავრის ორი აგრეგატი. „საკინეჰესი“ ახორციელებს კოდორის ხეობის სოფლების ზემო საკენის, საკენის, მარჯვენა გენწვისის, მარცენა გენწვისის, ზემო აჟარის და აჟარის ელექტროენერჯით

მომარაგებას, აღნიშნული ელექტროსადგური მთლიანად ხსნის ზემო აფხაზეთში, დალი-კოდორის ხეობაში არსებული მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის ელექტრომომარაგების პრობლემებს.

- „ხრამჭესი-2“-ის №2 ჰიდროაგრეგატზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 2007 წლის გაზაფხულზე და სისტემაში ჩაერთო 60 მვტ სიმძლავრით. დასრულდა ასევე 220/110 კვ ღია გამანაწილებელ ქვესადგურაში ახალი ავტოტრანსფორმატორების, დაცვებისა და მართვის ახალი მოწყობილობების დამონტაჟება. აღდგა ელექტროსადგურის ფუნქციონირება. ხრამჭესი-2-ის №2 ჰიდროაგრეგატი დაზიანების გამო არ ფუნქციონირებდა 1998 წლიდან.

- შესყიდული იქნა საპროექტო სამუშაოები ქსანის მინის ტარის ქარხნის სარეზერვო ელექტრომომარაგების განხორციელების მიზნით, ქ/ს ქსანი-500-ში 110 კვ 10 მვა ძალოვანი ტრანსფორმატორისა და შესაბამისი უჯრედის მოწყობით.

- განხორციელდა ქ/ს „გარდაბანი 500“-ისა და ქ/ს „აზსრესის,, დამაკავშირებელი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო სამუშაოები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან საქართველოს მონაკვეთზე, ქ/ს „გარდაბანი 500“-ში შესაბამისი უჯრედის მოწყობით. ასევე 35 კვ „ტყვიავი-კეხვისა“ (სამაჩაბლო) და 35/0,4 კვ ქვესადგურის მსენებლობაზე ერედვი-ხეთის შემოვლითი გზის წვერიახოს მონაკვეთზე, თამარაშენში 35 კვ ეგხ „ვანათი-2“-ის რეკონსტრუქცია და სხვა.

- მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოების ღონისძიების ფარგლებში ზემო აფხაზეთში დაიწყო 32 კმ 10 კვ ეგხ-ს მშენებლობა 4 სატრანსფორმატორო ქვესადგურით ხეობის მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მოცულობიდან საანგარიშო პერიოდში აშენდა 20 კმ მონაკვეთი სოფლებამდე ზემო საკენი-საკენი, ომარიშარაჰესი-სამხრეთის თავშესაფარი, აჟარა-ზემო აჟარა-მარჯვენა გენწვიში-მარცხენა გენწვიში.

- ჩატარდა განმუხურში პატრიოტთა ბანაკის გარე ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

- 25 ნოემბერს დასრულდა 22 კმ ტყვიავი-კეხვის 35 ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. აღნიშნული ხაზით შესაძლებელი გახდა დიდი და პატარა ლიახვის სოფლების.

- ელექტროენერჯით და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფისა და მოქმედი ტარიფების შენარჩუნების ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობისთვის 2007 წლის 1 მაისამდე მიწოდებულ ბუნებრივ გაზზე არსებული სამომხმარებლო ტარიფის შენარჩუნების კომპენსაციისთვის და დიდი ლიახვის სოფლების მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის კომპენსაციის მიზნით. ენერჯეტიკის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოიყო საკრედიტო რესურსი და გაფორმდა სათანადო სასესხო ხელშეკრულებები, საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი აირის გაზრდილი საფასურის შედეგად ბუნებრივი გაზის ტარიფების ზრდის დროებითი კომპენსირების მიზნით.

- საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის №54 განკარგულების თანახმად. პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით ანაზღაურდა საანგარიშო პერიოდში მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება.

- ბუნებრივი გაზის სექტორში სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით “საგურამო-წითელი ხიდის მონაკვეთზე არსებული 700-800მმ მაგისტრალური გაზსადენის სარეაბილიტაციო ღონისძიებების” ფარგლებში "ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაციას" გამოეყო საბიუჯეტო სესხი მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისა და ახალი მონაკვეთების მშენებლობისათვის

- „ენერჯოგენერაციის“ დაფინანსების ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ხრამი-2-სა და ლაჯანურჭესზე საერთაშორისო კრედიტებით მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესულების კოორდინაცია-მონიტორინგის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის "ენერჯოგენერაციის" საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი ხარჯების დაფინანსება.

- 2007 დაიწყო ხულონჭესისა და ნამახვანჭესების კასკადის წინასაპროექტო, მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამუსაოების შესყიდვა.


- ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიების ფარგლებში ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისათვის თითოეულ აბონენტზე 2007 წელს

ანაზღაურდა იანვარ-მაისის თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება თვეში 750 კუბ. მეტრი მოცულობის ფარგლებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 124 198.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 111 099.8 ათასი ლარი, რაც 2006 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 47 933.8 ათასი ლარით მეტია.

2006-2007 წლებში
გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	124,198.6	111,099.8	89.45%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	4,002.3	3,959.5	98.93%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	797.9	788.2	98.79%
	მივლინებები	680.0	585.8	86.15%
	სხვა საქონელი და მომსახურება	6,796.6	5,450.4	80.19%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	65,874.9	65,104.2	98.83%
	კაპიტალური ხარჯები	35,546.9	25,336.6	71.28%
	დაკრედიტება	10,500.0	9,875.0	94.05%
37 01	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა	98,851.5	87,664.7	88.68%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1,715.0	1,672.3	97.51%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	342.6	332.9	97.18%
	მივლინებები	470.0	375.8	79.96%
	სხვა საქონელი და მომსახურება	2,109.9	1,667.6	79.04%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	55,222.8	55,160.2	99.89%
	კაპიტალური ხარჯები	34,991.2	25,005.9	71.46%
	დაკრედიტება	4,000.0	3,450.0	86.25%
37 01 01	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	4,148.4	4,036.0	97.29%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1,452.5	1,452.5	100.00%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	290.1	289.0	99.62%
	მივლინებები	370.0	368.8	99.68%
	სხვა საქონელი და მომსახურება	1,044.9	935.3	89.52%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	7.8	7.2	92.31%
	კაპიტალური ხარჯები	983.1	983.1	100.00%
37 01 02	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები	260.8	83.7	32.10%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	109.0	66.3	60.79%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	21.8	13.3	60.79%
	მივლინებები	20.0	0.0	0.00%
	სხვა საქონელი და მომსახურება	80.0	4.2	5.25%
	კაპიტალური ხარჯები	30.0	0.0	0.00%
37 01 05	პროგრამა „ფერმერთა და აგრომეწარმეთა საინფორმაციო და საკონსულტაციო“	65.0	6.1	9.35%


	უზრუნველყოფა“			
	სხვა საქონელი და მომსახურება	65.0	6.1	9.35%
37 01 06	პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების განახლების ხელშეწყობა“	22,907.7	22,187.3	96.86%
	კაპიტალური ხარჯები	22,907.7	22,187.3	96.86%
37 01 07	პროგრამა „მეცხოველეობის სანაშენე საქმის განვითარება“	2,935.8	1,801.1	61.35%
	კაპიტალური ხარჯები	2,935.8	1,801.1	61.35%
37 01 08	სამინისტროს სისტემის რეფორმის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (მ.შ. 2006 წელს განთავისუფლებულ მუშაკთა საკომპენსაციო თანხა)	184.2	184.2	100.00%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	153.5	153.5	100.00%
	დამქირავებელიდან ანარიცხები	30.7	30.7	100.00%
37 01 11	პროგრამა „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“	300.0	217.6	72.53%
	მივლინებები	80.0	7.0	8.78%
	სხვა საქონელი და მომსახურება	220.0	210.6	95.71%
37 01 12	პროგრამა „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“	8,797.7	511.4	5.81%
	სხვა საქონელი და მომსახურება	700.0	511.4	73.06%
	კაპიტალური ხარჯები	8,097.7	0.0	0.00%
37 01 13	პროგრამა „სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები“	2,000.0	2,000.0	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,000.0	2,000.0	100.00%
37 01 14	2006 წელს შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა	36.9	34.4	93.19%
	კაპიტალური ხარჯები	36.9	34.4	93.19%
37 01 15	პროგრამა „მუნიციპალიტეტების დასახლებებაში მცხოვრები ოჯახების ფქვილით უზრუნველყოფის ღონისძიებები“	47,406.5	47,344.5	99.87%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	47,406.5	47,344.5	99.87%
37 01 16	პროგრამა „სოციალურად დაუცველი ოჯახების სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიებები“	5,808.5	5,808.5	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	5,808.5	5,808.5	100.00%
37 01 17	პროგრამა „ციტრუსის გადამამუშავებელი მრეწველობის ხელშეწყობის ღონისძიებები“	2,000.0	1,450.0	72.50%
	დაკრედიტება	2,000.0	1,450.0	72.50%
37 01 18	პროგრამა „ვაშლის ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები“	2,000.0	2,000.0	100.00%
	დაკრედიტება	2,000.0	2,000.0	100.00%
37 03	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და	8,175.0	7,066.0	86.43%

	მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური			
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	2,287.3	2,287.3	100.00%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	455.3	455.3	100.00%
	მივლინებები	210.0	210.0	100.00%
	სხვა საქონელი და მომსახურება	4,666.7	3,782.8	81.06%
	კაპიტალური ხარჯები	555.7	330.7	59.51%
37 03 01	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის აპარატი	4,306.0	3,954.3	91.83%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	2,287.3	2,287.3	100.00%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	455.3	455.3	100.00%
	მივლინებები	210.0	210.0	100.00%
	სხვა საქონელი და მომსახურება	797.7	671.0	84.12%
	კაპიტალური ხარჯები	555.7	330.7	59.51%
37 03 02	პროგრამა „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“	430.0	290.7	67.59%
	სხვა საქონელი და მომსახურება	430.0	290.7	67.59%
37 03 03	პროგრამა „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“	2,920.0	2,326.3	79.67%
	სხვა საქონელი და მომსახურება	2,920.0	2,326.3	79.67%
37 03 04	პროგრამა „მცენარეთა დაცვა“	519.0	494.8	95.33%
	სხვა საქონელი და მომსახურება	519.0	494.8	95.33%
37 04	სიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“	8,044.2	7,890.5	98.09%
	სხვა საქონელი და მომსახურება	20.0	0.0	0.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1,524.2	1,465.5	96.15%
	დაკრედიტება	6,500.0	6,425.0	98.85%
37 04 01	ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტის“ აპარატი	1,424.2	1,396.4	98.05%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1,424.2	1,396.4	98.05%
37 04 03	პროგრამა „მელვინეობის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები“ (სტრატეგიის მომზადების, ბაზრების მარკეტინგული კვლევის, უცხოელი ექსპერტების მოწვევის ხარჯები)	20.0	0.0	0.00%
	სხვა საქონელი და მომსახურება	20.0	0.0	0.00%
37 04 04	პროგრამა „2007 წლის როველის ხელშეწყობის ღონისძიებები“	5,500.0	5,425.0	98.64%
	დაკრედიტება	5,500.0	5,425.0	98.64%
37 04 05	პროგრამა „ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები“	1,000.0	1,000.0	100.00%
	დაკრედიტება	1,000.0	1,000.0	100.00%
37 04	პროგრამა „ვენახის განახლების ხელშეწყობის	100.0	69.1	69.08%

06	ლონისძიებები“			
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	100.0	69.1	69.08%
37 05	სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	2,000.0	1,994.3	99.72%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,000.0	1,994.3	99.72%
37 23	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	7,127.9	6,484.2	90.97%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	7,127.9	6,484.2	90.97%
37 23 01	სოფლის განვითარების პროექტი	2,706.0	2,041.0	75.42%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,706.0	2,041.0	75.42%
37 23 04	სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა კონსულტირების და სწავლების პროექტი	3,674.6	3,871.1	105.35%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	3,674.6	3,871.1	105.35%
37 23 05	მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა	113.3	0.0	0.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	113.3	0.0	0.00%
37 23 06	ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი	634.0	572.1	90.24%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	634.0	572.1	90.24%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 3.56% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხების“ – 0.71%, „მივლინებების“ – 0.53%, „სხვა საქონელი და მომსახურების“ – 4.91%, „სუბსიდიები სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერების“ – 58.6%, „კაპიტალური ხარჯების“ – 22.81%, ხოლო „დაკრედიტება“ – 8.89%.

2007 წლის გაწეული ხარჯების
სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



2007 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასახული სტრატეგიული მიმართულებების ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები:

სტრატეგია – „სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეშლელი ფაქტორების აღმოფხვრა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებით“, რომლის მიზანს წარმოადგენს ეფექტიანი სოფლის მეურნეობის პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის არსებობა განხორციელდა:

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების განახლების ხელშეწყობა“ - პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 264 ერთეული ტრაქტორი და 401 ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 170 ერთეული ტრაქტორი და 238 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო სამეურნეო მანქანა. კომერციული კონკურსის წესით 7 წლიანი იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გადაეცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ 57 იურიდიულ და ფიზიკურ პირს. პრეზიდენტის და მთავრობის განკარგულებებით პირდაპირი მიყიდვის წესით (სიმბოლური ფასი – 1 ლარი) 15 ერთეული ტრაქტორი და 23 ერთეული სასოფლო

სამეურნეო მანქანა გადაეცათ: სენაკის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ერედვის, თილვის, აჟარის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს.

პროგრამა „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“ - აღნიშნული პროგრამისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებებით განხორციელდა შემდეგი პროექტების დამუშავება:

– იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეკონსტრუქციის და მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის პროექტი;

– კაზრეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობების რეკონსტრუქციის და მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის პროექტი, კაზრეთის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხში წყლის დიუკერით გადაყვანის პროექტი;

– დმანისი-განთიადის სარწყავი სისტემის, იაკუბლოსა და პანტიანის წყალსაცავების, მათი შემავსებელი სათავე ნაგებობების და წყალმიმყვანი არხების რეაბილიტაციის პროექტი;

– მდინარე დიდ ლიახვზე, გორის რაიონის სოფ. ნიგოზთან, ძლევიჯვარისა და დიდი რუს სარწყავი სისტემებისათვის კაშხლიანი სათავე ჰიდროკვანძის მოწყობის სარეაბილიტაციო პროექტი;

– კასპის რაიონში, სიონის არხის რეკონსტრუქციით წყლის მექანიკური აწევით სარწყავი ფართობების ნაწილის თვითღინებით მორწყვაზე გადაყვანის პროექტი;

– მარნეულის რაიონში, ხრამ არხის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო პროექტი.

პროგრამა „სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები“ – აღნიშნული პროგრამით განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით ლიკვიდირებული სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ბაზაზე ახლად ჩამოყალიბებული სამელიორაციო მომსახურების სახელმწიფო შპს-ების ფუნქციონირების ხელშეწყობა, კერძოდ, დაფარული იქნა სამელიორაციო მომსახურების სახელმწიფო შპს-ების შენახვის ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნა სამელიორაციო სისტემების სეზონისათვის მოსამზადებელი სამუშაოების და ოფისის ხარჯები.

აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ფასიანი სამელიორაციო მომსახურების ბაზრის ფორმირებასა და გადახდისუნარიანი სამელიორაციო მომსახურებით მოსარგებლე

ასოციაციებისა და ცალკეული მომხმარებლების ფენის ჩამოყალიბებას და სასოფლო-სამეურნეო მიწების გარანტირებულ ირიგაციას.

პროგრამა „მეცხოველეობის სანაშენე საქმის განვითარება“ – წლის განმავლობაში ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შემოყვანილი იქნა 395 სული სანაშენე ჯიშის პირუტყვი, შემოყვანილი უშობლებისაგან შეიქმნება სანაშენე ბირთვი, საიდანაც მაღალპროდუქტიული სანაშენე მასალა მიეწოდება ფერმერებს.

პროგრამა „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებების“ - ფარგლებში ქართულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს 5 საერთაშორისო და ერთ ადგილობრივ გამოფენებში, კერძოდ: „ფენსი ფუდ შოუ“ (ენცე ოლ შპოწ) ნიუ იორკი, აშშ, „ფ&ვ უკრაინა“ (&V კრაინე) კიევი, უკრაინა, „ფაი ევროპა“ (I უროპე) ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, „ანუგა გერმანია“ (ნუგა ერმანე), კიოლნი, გერმანია, „ყავა და ჩაი“ (თეა ანდ ჩოფფეი) ჟენევა, შვეიცარია და „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების ფამოფენა“, თბილისი საქართველო. საერთაშორისო გამოფენებზე ქართულმა პროდუქციამ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ქართველ და უცხოელ მეწარმეებს შორის გაფორმდა რამდენიმე საქმიანი ხელშეკრულება. გამოფენებზე დადებულმა ხელშეკრულებების ღირებულებამ 5 მლნ ლარს გადააჭარბა. ქართული კომპანია „გეოპლატჯგუფის“-ს მიერ გაფორმდა ხელშეკრულება 300 ტონა ჩაის ექსპორტზე აშშ-ში.

პროგრამა „ფერმერთა და აგრომეწარმეთა საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა“ - საანგარიშო პერიოდში მომზადდა და დაიბეჭდა 2 500 (ორიათას ხუთასი) ეგზემლარი საინფორმაციო ბროშურა.

აღნიშნულ ბროშურაში შეტანილია სოფლის მეურნეობის დარგებში არსებული 2006-2007 წლების სტატისტიკური მონაცემები მიწის ფართობების, მეცხოველეობის სულადობის, წარმოებული პროდუქციის, მეთევზეობის, მევენახეობის, მეხილეობისა და მექანიზაციის შესახებ, რომელიც ძირითადად განკუთვნილია სოფლის საკრებულოებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერების ინფორმირებისათვის.

სტრატეგია – „ქვეყნის ეპიზოოტიური, ფიტოსანიტარიული უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებით“, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარიული უსაფრთხოების

უზრუნველყოფა და ქვეყნის, როგორც კეთილსაიმედო სავაჭრო პარტნიორის აღიარება განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამა „ეპიზოთიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“ - წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდა განსაკუთრებით საშიშ დაავადებების: თურქულის, ჯილეხისა და ცოფის ვაქცინების, ტუბერკულოზისა და ბრუცელოზის დიაგნოსტიკუმების, საღებინფექციო და სხვა საშუალებების შეძენასა და ვაქცინაციის ჩატარებას. ქვეყანაში შენარჩუნდა ეპიზოთიური კეთილსაიმედოობა ბრუცელოზისა და ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო გამოკვლევებით დადგინდა დაავადების გავრცელების არეალი, რის საფუძველზეც ჩატარდა შესაბამისი ვეტერინარულ - სანიტარული და აღმკვეთი ღონისძიებები, შენარჩუნდა ეპიზოთიური კეთილსაიმედოობა, რის გამოც ადამიანებში დაავადებების გაჩენის რისკი მინიმუმამდე შემცირდა.

პროგრამის „მცენარეთა დაცვა“ – ფარგლებში საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა პესტიციდების სარეზერვო ფონდი, თეთრ პეპელას წინააღმდეგ აუცილებელი ღონისძიებების ჩატარების მიზნით მოსახლეობისათვის გამოიცა ბუკლეტები.

განსაკუთრებით საშიშ და საკარანტინო მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად და პესტიციდების სარეზერვო ფონდის შესაქმნელად შეძენილია 6 000 ლიტრი ინსექტიციდი „დეცისი“. გარდა ამისა, ამერიკულ თეთრ პეპელას წინააღმდეგ ღონისძიებების მოსახლეობის საკარანტინო ნაკვეთებში გასატარებლად შეძენილია ბიოლოგიური ინსექტიციდი „დიპელი“ 1 000 ლიტრის ოდენობით.

ამერიკულ თეთრ პეპელას წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებებში მოსახლეობის აქტიურად ჩართვის მიზნით გამოცემულია 8 000 ცალი ბუკლეტი – „როგორ დავიცვათ მცენარეები ამერიკული თეთრი პეპელასაგან“, 300 ცალი ბუკლეტი – „ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების რეკომენდაცია“, აღნიშნული ბუკლეტები გადაცემულია გურიის, სამეგრელოს და აჭარის მოსახლეობაზე და ტერიტორიულ სამმართველოებზე.

ლიკვიდირებულ იქნა ამერიკული თეთრი პეპელა დასავლეთ საქართველოს რაიონებში 7000 ჰა-ზე. კახეთის რეგიონში 2 000 ჰა-ზე ავიაციის დახმარებით ჩატარდა კალიების სალიკვიდაციო სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქ. ფოთში, ოზურგეთის, ლანჩხუთის, სენაკის, ხობის, ზუგდიდის რაიონებში 3 000 ჰექტარზე ჩატარდა ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები, რის შედეგადაც მავნებლის გავრცელების კერებში განადგურებულ იქნა მატლები და შენარჩუნებულია ნარგავები და ხეხილის ბაღები.

პროგრამის „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“ – ფარგლებში შეძენილი იქნა სურსათის ექსპერტიზისათვის ლუქები, ღვინის დაუბეჭდავი ყუთები. განხორციელდა სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევები.

საანგარიშო პერიოდში გატარებული ღონისძიებების შედეგად, შემცირდა სამომხმარებლო ბაზარზე უხარისხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სასურსათო პროდუქტების განთავსება. საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქცია გახდა კონკურენტუნარიანი. ათვისებულ იქნა ახალი ბაზრები. მოხდა ბაზარზე განთავსებული სურსათის რისკის ანალიზის შეფასება.

პროგრამის „2007 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“ - 2007 წლის რთველის ორგანიზებულად ჩასატარებლად, ყურძნის სანედლეულო ბაზის მაქსიმალურად ათვისების და საქართველოში მაღალხარისხოვანი საბრენდე სპირტების რესურსების გაზრდის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სესხიდან სამ კომპანიაზე გაცემულ იქნა 5 425 000 ლარი, რომლებმაც კახეთის მოსახლეობისაგან მიიღეს გადასამუშავებლად 12 925 ტონა ყურძენი და აღნიშნული მასალისაგან მიმდინარეობს საბრენდე სპირტების გამოხდის პროცესი.

პროგრამის „ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები“ - ფარგლებში ხუთმა კომპანიამ, რომლებმაც კახეთის რეგიონის გლეხებისაგან მიიღეს 2 323.4 ტონა ყურძენი, ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობიდან ჩაბარებული ყურძნის ღირებულების სრულად ანაზღაურება. (საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოთ საბიუჯეტო სახსრები სესხის სახით და დაფარეს დავალიანება 808 გლეხზე მთლიანად და 376 გლეხზე 40%-ით, სულ 1 000 000 ლარის ოდენობით.)

პროგრამის „ვენახების განახლების ხელშეწყობის ღონისძიებების“ - ფარგლებში 2007 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში ამოიძირკვა 34.5 ჰექტარი ვაქირულას ჯიშის ყურძენი, რაც მომავალში

ხელს შეუწყობს „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების პრაქტიკულ განხორციელებას, ღვინოების სანედლეულო ბაზის ხარისხობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ყურძნის მწარმოებლებსა და ღვინის კომპანიებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის გაზრდას, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის შემდგომ განვითარებას.

პროგრამა „მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების ფქვილით უზრუნველყოფის ღონისძიებები“ - განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების დახმარება 50 კილოგრამი ფქვილით.

პროგრამა „სოციალურად დაუცველი ოჯახების სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიებები“ - განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი დახმარება საკვები პროდუქტებით.


პროგრამის „ციტრუსის გადამამუშავებელი მრეწველობის ხელშეწყობის ღონისძიებების“ - ფარგლებში შპს „ქართულ პროდუქტის“ მიერ მოსახლეობისგან შესყიდული იქნა 11 000 ტონა ციტრუსი.

პროგრამის „ვაშლის ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების“ - ფარგლებში შპს „ქართული პროდუქტის“ მიერ მოსახლეობისგან შესყიდული იქნა 500 ტონაზე მეტი ვაშლი, ხოლო ექსპორტზე (აზერბაიჯანი) გაგზავნილია 240 ტონაზე მეტი. შპს „საქართველოს“ მიერ მოსახლეობისგან შესყიდულია 170 ტონაზე მეტი ვაშლი, ხოლო ექსპორტზე (აზერბაიჯანი) გაგზავნილია 60 ტონა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 41 383.5 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 37 546.5 ათასი ლარი, რაც 2006 წლის შესაბამის პერიოდში გაწეულ ხარჯებს 8 388.9 ათასი ლარით აღემატება.

2006-2007 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჯგუფში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
38 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	41,383.5	37,546.5	90.73%

	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	8,811.8	8,800.1	99.87%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	1,759.1	1,756.1	99.83%
	მივლინებები	305.7	258.6	84.58%
	სხვა საქონელი და მომსახურება	2,831.6	2,703.8	95.49%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	26,140.8	22,516.4	86.13%
	კაპიტალური ხარჯები	1,534.6	1,511.6	98.51%
38 01	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატი	3,494.6	3,409.0	97.55%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	1,739.3	1,738.1	99.93%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	347.9	347.6	99.92%
	მივლინებები	102.0	97.2	95.30%
	სხვა საქონელი და მომსახურება	941.7	870.1	92.40%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	17.2	13.0	75.84%
	კაპიტალური ხარჯები	346.5	343.0	99.00%
38 03	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები	667.3	646.9	96.94%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	464.4	461.1	99.30%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	92.9	92.2	99.19%
	მივლინებები	50.0	40.4	80.89%
	სხვა საქონელი და მომსახურება	60.0	53.1	88.55%
38 05	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პროგრამები	2,861.2	869.1	30.37%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,861.2	869.1	30.37%
38 05 03	პროგრამა „ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები“	90.0	85.5	95.04%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	90.0	85.5	95.04%
38 05 07	პროგრამა „საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და დროებით უსაფრთხო განთავსება“	94.7	94.7	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	94.7	94.7	100.00%
38 05 08	საქართველოსა და სომხეთის საზღვრის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული სამუშაოები	137.0	136.7	99.76%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	137.0	136.7	99.76%
38 05 09	მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებები	2,539.5	552.1	21.74%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,539.5	552.1	21.74%
38 09	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი	1,148.0	1,099.2	95.75%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	628.6	627.0	99.74%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	122.4	122.2	99.81%

	მივლინებები	46.6	34.1	73.23%
	სხვა საქონელი და მომსახურება	80.2	74.1	92.38%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	132.9	109.4	82.30%
	კაპიტალური ხარჯები	137.3	132.5	96.49%
38 09 01	დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის აპარატი	345.6	332.3	96.16%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	206.9	206.3	99.71%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	41.4	41.2	99.73%
	მივლინებები	31.6	23.3	73.83%
	სხვა საქონელი და მომსახურება	41.8	37.5	89.78%
	კაპიტალური ხარჯები	23.9	23.9	99.98%
38 09 03	ტერიტორიული ორგანოები	669.5	657.5	98.21%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	421.7	420.7	99.76%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	81.0	80.9	99.85%
	მივლინებები	15.0	10.8	71.97%
	სხვა საქონელი და მომსახურება	38.4	36.6	95.22%
	კაპიტალური ხარჯები	113.4	108.6	95.75%
38 09 05	პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“	82.9	63.5	76.57%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	82.9	63.5	76.57%
38 09 06	პროგრამა „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“	50.0	45.9	91.80%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	50.0	45.9	91.80%
38 10	სატყეო დეპარტამენტი	6,225.4	6,179.3	99.26%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	3,706.2	3,702.0	99.89%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	741.2	739.9	99.82%
	მივლინებები	28.5	17.2	60.41%
	სხვა საქონელი და მომსახურება	693.7	678.5	97.80%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	473.0	459.8	97.20%
	კაპიტალური ხარჯები	582.8	581.9	99.85%
38 10 01	სატყეო დეპარტამენტის აპარატი და ტერიტორიული ორგანოები	4,639.5	4,609.1	99.34%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	2,808.9	2,806.1	99.90%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	561.7	561.2	99.91%
	მივლინებები	25.1	14.0	55.78%
	სხვა საქონელი და მომსახურება	661.3	646.3	97.73%
	კაპიტალური ხარჯები	582.4	581.5	99.85%
38 10 02	სატყეო დეპარტამენტის დაქვემდებარებული ორგანიზაციები	1,112.9	1,110.4	99.77%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	897.3	896.0	99.85%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	179.5	178.6	99.54%
	მივლინებები	3.4	3.2	94.93%


	სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	32.4 0.4	32.2 0.4	99.38% 100.00%
38 10 03	სატყეო დეპარტამენტის პროგრამები	473.0	459.8	97.20%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	473.0	459.8	97.20%
38 10 03 03	პროგრამა „ტყის დაცვის ღონისძიებები“	473.0	459.8	97.20%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	473.0	459.8	97.20%
38 15	გარემოს დაცვის ინსპექცია	4,035.9	4,015.8	99.50%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დამქირავებლიდან ანარიცხები მივლინებები სხვა საქონელი და მომსახურება კაპიტალური ხარჯები	2,157.4 431.5 70.0 1,027.0 350.0	2,157.4 431.4 69.5 1,010.5 347.1	100.00% 99.97% 99.25% 98.39% 99.17%
38 16	სსიპ – სივრცული ინფორმაციის ცენტრი	200.0	200.0	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	200.0	200.0	100.00%
38 17	სსიპ – მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი	8,791.5	8,566.2	97.44%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	8,791.5	8,566.2	97.44%
38 17 01	მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი	6,762.4	6,548.7	96.84%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	6,762.4	6,548.7	96.84%
38 17 02	პროგრამა „ქობულეთის ნაპირსამაგრი სამუშაოები“	2,029.1	2,017.5	99.43%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,029.1	2,017.5	99.43%
38 18	დაცული ტერიტორიების განვითარება	1,159.3	1,156.6	99.77%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1,159.3	1,156.6	99.77%
38 18 01	სსიპ – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია	408.7	408.0	99.82%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	408.7	408.0	99.82%
38 18 02	სსიპ – კოლხეთის ეროვნული პარკის და კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაცია	213.5	213.5	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	213.5	213.5	100.00%
38 18 03	სსიპ – ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის, ქობულეთის ადკეთილის და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ადმინისტრაცია	46.1	46.1	99.99%

	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	46.1	46.1	99.99%
38 18 04	სსიპ – თუშეთის დაცული ტერიტორიების ღირექცია	114.2	113.5	99.40%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	114.2	113.5	99.40%
38 18 05	სსიპ – ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ღირექცია	56.9	56.9	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	56.9	56.9	100.00%
38 18 06	სსიპ – ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ღირექცია	153.2	153.2	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	153.2	153.2	100.00%
38 18 07	სსიპ – ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ღირექცია	109.2	109.2	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	109.2	109.2	100.00%
38 18 08	სსიპ - მტირალას ეროვნული პარკი	57.5	56.3	97.84%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	57.5	56.3	97.84%
38 19	სსიპ - სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა	85.5	85.2	99.71%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	85.5	85.2	99.71%
38 20	საგამომიებო ღეპარტამენტი	294.6	262.2	89.00%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	115.8	114.5	98.86%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	23.2	22.9	98.69%
	მივლინებები	8.6	0.1	1.05%
	სხვა საქონელი და მომსახურება	29.0	17.6	60.58%
	კაპიტალური ხარჯები	118.0	107.1	90.80%
38 21	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	12,420.2	11,057.0	89.02%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	12,420.2	11,057.0	89.02%
38 21 02	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ფაზა-1 კვ	129.0	129.1	100.11%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	129.0	129.1	100.11%
38 21 04	დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი (მათ შორის წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა)	6,564.6	5,351.3	81.52%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	6,564.6	5,351.3	81.52%

38 21 05	სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტი (მათ შორის წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა)	932.0	903.2	96.91%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	932.0	903.2	96.91%
38 21 06	სატყეო სექტორის განვითარების პროექტი (მათ შორის წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა)	4,120.0	4,153.5	100.81%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4,120.0	4,153.5	100.81%
38 21 07	კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტი	381.2	392.9	103.07%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	381.2	392.9	103.07%
38 21 08	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის პროგრამა (ჭ)	65.8	0.0	0.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	65.8	0.0	0.00%
38 21 09	ციფრული და ტოპოგრაფიული რუკების შექმნა საქართველოში (ჟიქ)	116.0	107.5	92.64%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	116.0	107.5	92.64%
38 21 10	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ახლადრეორგანიზებული სამინისტროს ინსტრუქციური უნარის გაძლიერება	19.6	19.6	99.90%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	19.6	19.6	99.90%
38 21 13	ხარაგაულის სათემო ტყის საცდელი პროექტი (ჭ)	92.0	0.0	0.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	92.0	0.0	0.00%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 23.44%-ი შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხების“ – 4.68%, „მივლინებების“ – 0.69%, „სხვა საქონელი და მომსახურების“ – 7.2%, „სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერების“ – 59.97%, ხოლო „კაპიტალური ხარჯების“ – 4.03%.

2007 წლის გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



2007 წელს საქართველოს გარემოს დავისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დასახული სტრატეგიული მიმართულებების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები:

სტრატეგიის – „გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფის“ ფარგლებში, რომლის მიზანს წარმოადგენს გარემოსდაცვითი კონტროლის გაძლიერება, ეფექტიანი და ქმედითი გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, განხორციელდა:

პროგრამის **„ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები“** – ფარგლებში „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის №154 დადგენილების საფუძველზე მომზადდა და შეივსო 37 ცალი გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

პროგრამა – **„დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“**.

პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა დაცული ტერიტორიების მეხანძრეებისათვის 25 ცალი სპეცტანსაცმელი და პათოლოგიური კვლევებისთვის 15 ერთეული ბინოკულარი. მთელი წლის განმავლობაში დაფიქსირდა ხანძრის 1 შემთხვევა, რომლის დროსაც დაიწვა 0,9 ჰა ფართობი, ხანძრის შედეგად ხე-ტყის წვას ადგილი არ ჰქონია, დაზიანდა მხოლოდ აღმონაცენი და ტყის ბალახეულობა.

პროგრამა – „ეკოტურიზმის განვითარება“.

გასულ წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ოფიციალურად გამოცხადდა, როგორც ევროპის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელის პან-პარკების სრულუფლებიან წევრად და გადაეცა შესაბამისი სერთიფიკატი.

პროგრამის ფარგლებში სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯია“-ში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, მონაწილეობის მიღება მიზნად ისახავდა დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციასა და ტუროპერატორების დაინტერესებას, რომელშიც დაცული ტერიტორიების ინიციატივით წარდგენილი იქნა შვიდი დაცული ტერიტორია: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, თუშეთის დაცული ტერიტორიები, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილი, ქობულეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორიები და ბაწარა-ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალში არსებული იშვიათი სახეობების ფოტო-მასალა. გამოფენისთვის მომზადდა ბუკლეტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. გავრცელდა დაცული ტერიტორიების კალენდარი, კოლხეთის საველე მეგზური, კოლხეთის ტურისტული რუკა, დაიბეჭდა მოსაწვევები, დამზადდა სარეკლამო პლაკატები.

დამზადდა დაცული ტერიტორიების კოლაჟი (რიფლეთი) ინგლისური და ქართული ვერსიები 4 000 ცალი – „გადაფურცლე საქართველო“.

მომზადდა ვაშლოვანის, თუშეთის, ლაგოდეხის და საქართველოს დაცული ტერიტორიების ტურისტული რუკები ინგლისური და ქართული ვერსიები.

დამზადდა ხუთი დაცული ტერიტორიის (კოლხეთის ეროვნული პარკი, თუშეთის ეროვნული პარკი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორია, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი) ინგლისური და ქართული ღია ბარათები, სულ 12 000 ცალი.

მოეწყო პრეს-ტურები თუშეთის, ბორჯომ-ხარაგაულისა და კოლხეთის ეროვნულ პარკებში, სადაც მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა.

მოხდა სხვადასხვა დაცული ტერიტორიების (ყაზბეგი, სათაფლია, ვაშლოვანი) უნიკალური ბიომრავალფეროვნების ფოტო-ბანკის შექმნა

შემდგომ სამეცნიერო და საინფორმაციო მასალებში მათი გამოყენების მიზნით.

პროგრამა – „საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და დროებით განთავსება“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და იმერეთის რეგიონებში შეიქმნა 12 ობიექტი განსაკუთრებით მომატებული რისკის მქონე ობიექტები, რომელთა დასუფთავებაც უნდა განხორციელდეს პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულ ობიექტებზე განთავსებულია დაახლოებით 45 ტ. პესტიციდი და 125 ტ პესტიციდგარეული გრუნტი.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე პესტიციდები, რომლებიც არ არის არეული გრუნტში ან ნაკლებად არეულია შეიფუთება, გატანილი და უსაფრთხოდ განთავსებული იქნება სპეციალურ საწყობში მის შემდგომ გაუვნებელყოფამდე. საწყობად გამოყენებული იქნება კახეთის რეგიონში (საგარეჯოს რაიონის სოფ. ბადიაური) შერჩეული შენობა, რომლის რეკონსტრუქცია და შეკეთება ილიეუკონტაქტ ინტერნაციონალ-ის მიერ დაგეგმილია ახლო მომავალში, კახეთის რეგიონში მსგავსი სამუშაოების განხორციელების და ვადაგასული პესტიციდების განთავსების მიზნით.

პროგრამა – „ქობულეთის ნაპირსამაგრი სამუშაოები“.

პროგრამის განხორციელება დაიწყო მესამე კვარტალში. პლაჟამგები მასალის დეფიციტის (წყალქვეშა ფერდზე და ხმელეთზე) საკომპენსაციოდ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მდ. კინტრიშის ჭალა-კალაპოტიდან ჭარბი აკუმულაციის მასალის გატანა პლაჟის 2400 მ-იან ზოლზე. მომზადდა განსახორციელებელი სამუშაოების პროექტი და გამოცხადდა ტენდერი აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე. ტენდერში გამარჯვებული ფირმის მიერ აღნიშნულ ზოლზე ხელოვნურად შეტანილი იქნა 143 090 მ³ მოცულობის ინერტული მასალა (ქვიშა-ხრეში). ამ ღონისძიების შედეგად ნაპირის სტაბილურობა უზრუნველყოფილ იქნება სამი წლით. პლაჟის სიგანე საშუალოდ გაიზარდა 8-10 მ-ით. განხორციელდა პლაჟების რეაბილიტაცია. აღმოიფხვრა 90 კერძო სახლისა და სასტუმროების (“სანაპირო”, “მწვანე სახლი” და ა.შ.) ნგრევის საფრთხე.

სტრატეგიის – „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემის სროლყოფა“ ფარგლებში, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება, უკანონო რესურსებით სარგებლობის მასშტაბების შემცირება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ერთიან სისტემაში კერძო სექტორის როლის გაზრდა, სახელმწიფო ტყის ფონდში ადგილობრივი ტყის ფონდის განსაზღვრის წესის დადგენა განხორციელდა:

პროგრამა – „ტყის დაცვის ღონისძიებები“.

პროგრამის ფარგლებში სატყეო დეპარტამენტმა გამოაცხადა ტენდერი მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველსაყოფად სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფის მიზნით, ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის და ტყის კულტურების მოვლის მომსახურების შესყიდვისათვის.

სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების ტენდერში წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების საფუძველზე ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ 3 ლოტზე (მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის რეგიონალური სატყეო სამმართველოებს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყო 2007 წლის ივლისის თვიდან.

1 სექტემბრის მდგომარეობით გამოყოფილი იყო სულ 237.5 მ³ ლიკვიდური მერქანი. 2007 წლის 11 სექტემბერს განხორციელდა მიზნობრივი პროგრამის – „ტყის დაცვის ღონისძიებები“ – კორექტირება, რის შედეგადაც გეგმიდან ამოღებულ იქნა „მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გაშენებული ტყის კულტურების მოვლის“ და „დროებითი ნაგებობების (ხერგილების) მოწყობის ქვეპროგრამები.

ცალკეული ლოტებისა და ლოტში შემავალი სატყეო უბნების მიხედვით გაფორმდა ხელშეკრულებები.

სატყეო დეპარტამენტმა განახორციელა სათბობ შეშაზე მოსახლეობის გაძლიერებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დამატებით 200.0 ათ მ³ საშეშე მერქნის ოდენობის ტყეკაფების გამოყოფა.

ასევე საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს №449 და 26 სექტემბრის №541 განკარგულებით დეპარტამენტს დაევალა გორის საცდელი-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე 10.0 ათ. მ³ და ღიდგორის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის ტერიტორიაზე 2.0 ათ. მ³ ოდენობის სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფა. ხოლო მთლიანად 2007 წლის განმავლობაში გამოყოფილი იქნა 576,7 ათ. მ³ სათბობი შეშა.

2007 წელს დასრულებულ იქნა მცხეთის სახელმწიფო-სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილის გამარტივებული ინვენტარიზაცია.

პროგრამა – „საქართველოს და სომხეთის სახელმწიფო საზღვრის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული სამუშაოები“.

გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ ფონდში მოძიებულ იქნა წინა წლებში საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული აეროფოტოგადაღებითი და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური სამუშაოების შედეგად შექმნილი კარტოგრაფიული მასალები და გეოდეზიური მონაცემები, რის საფუძველზეც დადგინდა, თუ რა სახისა და მოცულობის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური (საველე და კამერალური) სამუშაოები არის ჩასატარებელი სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადდა სამუშაოების განსახორციელებლად ტექნიკური პირობები და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა–აეროკოსმოსური სურათების ფასთა კვოტირებით შეძენისა და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოებისათვის. ჩატარდა ორი ტენდერი–კოსმოსური სურათების შეძენისა და გეოდეზიური სამუშაოების განხორციელების მიზნით.


საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის (1097,2კმ²) კოსმოსური სურათების შეძენაზე გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და თურქულ კომპანია „I თ შ ჩ შ შთ შ I ჩ“ შორის.

გაფორმდა აგრეთვე ხელშეკრულება საველე და კამერალური ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ სამუშაოებზე ტენდერში გამარჯვებულ ფირმა „ლკნ“-თან.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის 2007 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 31 422.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 31 271.9 ათასი ლარი, რაც 2006 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 6 162.8 ათასი ლარით.

2006-2007 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:


(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული კეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
3900	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	31,422.0	31,271.9	99.52%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის	14,883.5	14,879.8	99.98%

ანაზღაურება			
დამქირავებლიდან ანარიცხები	3,476.7	3,471.3	99.85%
მივლინებები	1,510.0	1,398.7	92.63%
სხვა საქონელი და მომსახურება	4,799.8	4,791.8	99.83%
მ.შ. კვების ხარჯები	420.0	419.6	99.91%
სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	2,502.0	2,480.5	99.14%
კაპიტალური ხარჯები	4,250.0	4,249.8	99.99%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 47.58%-ი შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხებმა“ – 11.10%, „მივლინებებმა“ – 4.47%, „სხვა საქონელმა და მომსახურებამ“ – 15.32%, „სუბსიდიებმა, სუბვენციებმა და მიმდინარე ტრანსფერებმა“ – 7.93% ხოლო „კაპიტალურმა ხარჯებმა“ – 13.59%.


2007 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურა
ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საქართველოს სახალხო დამცველის სამსახური

საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურისათვის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 562.2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 1 545.7 ათასი ლარი, რაც 2006 წლის ხარჯებზე 339.6 ათასი ლარით ნაკლებია.

2006-
2007 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული
ასიგნებები და გაწეული ხარჯები




2007 წლის ასიგნებები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული ვეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
40 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1,562.2	1,545.7	98.94%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	625.2	624.8	99.94%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	123.2	123.2	100.00%
	მივლინებები	39.7	39.6	99.72%
	სხვა საქონელი და მომსახურება	251.3	250.6	99.71%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	500.0	484.7	96.93%
	კაპიტალური ხარჯები	22.8	22.8	100.00%
40 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1,062.2	1,061.0	99.89%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	625.2	624.8	99.94%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	123.2	123.2	100.00%
	მივლინებები	39.7	39.6	99.72%
	სხვა საქონელი და მომსახურება	251.3	250.6	99.71%
	კაპიტალური ხარჯები	22.8	22.8	100.00%
40 02	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსაზღვრული საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯები	500.0	484.7	96.93%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	500.0	484.7	96.93%
40 02 01	სახალხო დამცველის ოფისის დახმარება ()	500.0	484.7	96.93%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	500.0	484.7	96.93%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 40.43% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხების“ – 7.97%, „მივლინებების“ – 2.56%, „სხვა საქონელი და მომსახურების“ – 16.21%, „სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერების“ – 31.36%, ხოლო „კაპიტალური ხარჯების“ – 1.47%.

2007 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველისა და მისი აპარატის 2007 წლის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელი, ძლიერი და ეფექტიანი ინსტიტუტის ჩამოყალიბების დასრულება

- სახალხო დამცველის უფლებამოსილებისა და ომბუდსმენის ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით საქართველოს პარლამენტს წარედგინა ცვლილებები და დამატებები ორგანულ კანონში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სახალხო დამცველის უფლებამოსილების გაზრდასა და მის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ზედამხედველობის უფრო ეფექტურად განხორციელებას;

- სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფების მიერ საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის შემოწმების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა: შს სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში 932 ვიზიტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის

ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით 285 ვიზიტი, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ქვედანაყოფებში, სამხედრო ნაწილებში ჰაუპტვახტების მონიტორინგის მიზნით 28 ვიზიტი, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭომ განახორციელა ფსიქიატრიული საავადმყოფოების მონიტორინგი და მოამზადა შესაბამისი ანგარიში, ხორციელდებოდა მზრუნველობამოკლებულ და უნარშეზღუდულ ბავშვთა ინსტიტუციების მონიტორინგი;

- სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრის და არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ მიერ ევროპის საბჭოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით განხორციელდა პროექტის „ჩვენი თვალთ“ 2 ეტაპი. ამ პროექტის ფარგლებში ბაკურიანში ამოქმედდა საზაფხულო ბანაკი, სადაც თავი მოიყარეს პროექტისთვის სპეციალურად დაწერილი თხზულებების გამარჯვებულმა ავტორებმა, საჯარო სკოლებში ჩატარდა კონკურსი თემაზე „ბავშვობა – ძალადობის გარეშე“;

- მოქალაქეთათვის გაწეულ იქნა დახმარება მათი დარღვეულ უფლებათა აღდგენის ხელშეწყობის მიზნით;

- საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა 7 სარჩელი;

- საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საანგარიშო მოხსენება 2006 წლის მეორე ნახევარში და 2007 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ;

- გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ ფარგლებში ხორციელდებოდა საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის რეგულარული მონიტორინგი და მედია-მონიტორინგი, გამოიცა ჟურნალის „სოლიდარობა“ 21 ნომერი;

- საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ მომზადებულ იქნა საქართველოში „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის“ შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. დოკუმენტი მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს ჩარჩო კონვენციის დებულებათა შესრულების მონიტორინგის პროცედურებს და ხელს შეუწყობს

აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;

- გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ ფარგლებში განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს ბათუმის ოფისის რემონტი;

მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით

- სახალხო დამცველთან არსებული იურიდიული და პაციენტთა უფლებების ცენტრების ორგანიზებით ქუთაისში ჩატარდა ტრენინგი „სოციალურ უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები“ (რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე ქ. ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისა და რეგიონის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა) და ტრენინგი „უფლება ჯანმრთელობაზე და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები“ (რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ. ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების, რეგიონის ჯანდაცვის ობიექტთა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა);

- სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი „წამების ფიზიკური მტკიცებულებები და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა“;

- სახალხო დამცველის ოფისში სახალხო დამცველის აპარატისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო ფონდის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა;

- სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა წამების, სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის სფეროში სახალხო დამცველისა და მისი აპარატის მიერ გაწეული სამუშაოსა და სპეციალური მოხსენების პრეზენტაცია;

სახალხო დამცველის ოფისში ფსიქიატრიის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „საარჩევნო უფლების რეალიზება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში“., რომლის მიზანი იყო იმ პრობლემის ანალიზი და გადაჭრის გზების ძიება, რომელიც დაკავშირებულია ფსიქიატრიულ

დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტებისათვის საარჩევნო უფლების ფაქტობრივ შეზღუდვასთან, განურჩევლად მათი ქმედუნარიანობისა. გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრა, რომელიც მედიაში ტრეფიკინგთან დაკავშირებული ფაქტების გაშუქებას მიეძღვნა;

- წამების წინააღმდეგ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა წამების, სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის სფეროში სახალხო დამცველისა და მისი აპარატის მიერ გაწეული სამუშაოსა და სპეციალური მოხსენების პრეზენტაცია;

- სახალხო დამცველის აპარატში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „საჯარო ინფორმაციის გაცემის პრობლემატიკა“, რისთვისაც მოწვეულ იქნენ საჯარო დაწესებულების საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები;


- მომზადდა დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო წინადადებას არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

- გრძელდებოდა აქტიური თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში და სხვა დონორ ორგანიზაციებთან სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემუშავებული სტრატეგიის განსახორციელებლად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 436.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 274.7 ათასი ლარი. რაც 2006 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელზე 97.8 ათასი ლარით ნაკლებია.

2006-2007 წლებში გამოყოფილი ასიგნებები და გაწეული ხარჯი



აღნიშნული ხარჯი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებით განაწილდა შემდეგი სახით:


(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
41 00	სსიპ – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია	436.6	274.7	62.92%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	299.0	207.3	69.34%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	59.8	41.5	69.34%
	მივლინებები	10.0	2.7	27.43%

სხვა საქონელი და მომსახურება	51.2	21.7	42.29%
კაპიტალური ხარჯები	16.6	1.5	9.04%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 75.48% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხების“ წილმა – 15.10%, „მივლინებების“ წილმა – 1.0%, „სხვა საქონელი და მომსახურების“ წილმა – 7.88%, ხოლო „კაპიტალური ხარჯების“ წილმა – 0.55%.

2007 წელში გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა – 400.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 187.5 ათასი ლარი.


აღნიშნული ხარჯი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებით განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
42 00	სსიპ – საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო	400.0	187.5	46.87%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	257.5	132.0	51.26%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	51.5	26.4	51.26%
	მივლინებები	18.7	1.9	9.95%
	სხვა საქონელი და მომსახურება	67.4	26.8	39.77%
	კაპიტალური ხარჯები	4.9	0.4	8.88%


ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 70.4% შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხების“ წილმა – 14.08%, „მივლინებების“ – 0.99%, „სხვა საქონელი და მომსახურების“ წილმა – 14.3%, ხოლო „კაპიტალური ხარჯების“ წილმა – 0.23%.

2007 წლის გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებამ და გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 17 695.2 ათასი ლარი, რაც 2006 წლის შესაბამის მაჩვენებელს 1 195.3 ათასი ლარით აღემატება.



საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის ხარჯი გამოყოფილ იქნა შემდეგი მუხლით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
43 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	17,695.2	17,695.2	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	17,695.2	17,695.2	100.00%

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტო**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 435.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 373.5 ათასი ლარი, რაც 2006 წელ გაწეულ ხარჯებზე – 57.8 ათასი ლარით ნაკლებია. აღნიშნულ მონაცემებში გაერთიანებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის, როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში დაგეგმილი და გაწეული ხარჯები (152.6 ათასი ლარი), ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის მეორე კვარტლიდან (მაისის თვიდან) სააგენტოსთვის, როგორც მხარჯავი დაწესებულებისათვის, გათვალისწინებული ასიგნებანი (ცხრილის შესაბამისად).

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
44 00	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	283.3	220.9	77.97%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	283.3	220.9	77.97%

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

საქართველოს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია 2007 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 14 618.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 14 612.2 ათასი ლარი.


აღნიშნული ხარჯი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებით განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
45 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	14,618.0	14,612.2	99.96%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	2,285.7	2,285.3	99.98%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	457.2	457.1	99.98%
	მივლინებები	52.0	51.2	98.42%
	სხვა საქონელი და მომსახურება	3,134.0	3,133.5	99.98%
	მ.შ. კვების ხარჯები	132.0	131.6	99.71%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	869.1	869.1	100.00%
	კაპიტალური ხარჯები	7,020.0	7,016.1	99.94%
	დაკრედიტება	800.0	800.0	100.00%
45 01	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის აპარატი	14,535.9	14,530.1	99.96%
	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	2,285.7	2,285.3	99.98%
	დამქირავებლიდან ანარიცხები	457.2	457.1	99.98%
	მივლინებები	52.0	51.2	98.42%
	სხვა საქონელი და მომსახურება	3,134.0	3,133.5	99.98%
	მ.შ. კვების ხარჯები	132.0	131.6	99.71%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	787.0	787.0	100.00%
	კაპიტალური ხარჯები	7,020.0	7,016.1	99.94%
	დაკრედიტება	800.0	800.0	100.00%
45 03	საგამომცემლო ღონისძიებები	82.1	82.1	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	82.1	82.1	100.00%

ეკონომიკური კლასიფიკაციის „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის წილმა მთლიან ხარჯებში 15.64%-ი შეადგინა, „დამქირავებლიდან ანარიცხების“ – 3.13%, „მივლინებების“ – 0.35%, „სხვა საქონელი და მომსახურების“ – 21.44%, „სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერების“ – 5.95%, „კაპიტალური ხარჯების“ – 48.02%. ხოლო „დაკრედიტების“ – 5.47%.


2007 წელს გაწეული ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



საქართველოს საპატრიარქო

საქართველოს საპატრიარქოს 2007 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 4 222.7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 4 222.6 ათასი ლარი, რაც 2006 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 571.8 ათასი ლარით ნაკლებია.

2006-2007 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და გაწეული ხარჯები



აღნიშნული ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში განაწილდა შემდეგი სახით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2007 წლის დაზუსტებული გეგმა	2007 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %-ში
46 03	საქართველოს საპატრიარქო	4,222.7	4,222.6	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	4,222.7	4,222.6	100.00%
46 03 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	1,860.3	1,860.2	99.99%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	1,860.3	1,860.2	99.99%
46 03 02	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	503.7	503.7	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	503.7	503.7	100.00%
46 03 03	ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ბავშვთა გიმნაზია-პანსიონისათვის გადასაცემი გრანტი	644.9	644.9	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	644.9	644.9	100.00%
46 03 04	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონისათვის გადასაცემი გრანტი	350.0	350.0	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	350.0	350.0	100.00%
46 03 06	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	196.1	196.1	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	196.1	196.1	100.00%
46 03 07	წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპონენტი	667.6	667.6	100.00%
	სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები	667.6	667.6	100.00%

თავი V კრედიტები და გრანტები

2007 წლის განმავლობაში მიღებულმა გრანტებმა და კრედიტებმა (მათ შორის ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები და გრანტები) შეადგინა 389.8 მლნ ლარი. აღნიშნული სახსრებიდან ხარჯზე მიბმული კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩამორიცხულმა სახსრებმა შეადგინა 223.5 მლნ ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 217.7 მლნ ლარი. გადახრა 5.8 მლნ ათასი ლარი წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების ფარგლებში დონორების მიერ ჩამორიცხულ და ათვისებულ სახსრებს შორის სხვაობას.

ამასთან, 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებში თანამონაწილეობისათვის და ამ პროექტების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილმა ასიგნებამ შეადგინა 46.3 მლნ ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯმა – 40.5 მლნ ლარი.

გრანტები

2007 წლის განმავლობაში გრანტების სახით მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 223.5 მლნ ლარი. მათ შორის:

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები – 25.5 მლნ ლარი:

- დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (I) გრანტი მულტილატერალური ვალის ტვირთის შემსუბუქების (ღI) ინიციატივის ფარგლებში 1,980.8 ათასი ლარი;
- სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის მეორე ღონისძიების (ღშ -II)-ის თანმდევი ჰოლანდიური გრანტი 11,212.8 ათასი ლარი;
- ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის (თჩ-ცო) მიერ 40 მილიონიანი საგრანტო პროგრამის ფარგლებში

გამოყოფილი მეოთხე (4 მლნ აშშ დოლარი) საგრანტო ტრანში 6,564.0 ათასი ლარი;

- სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის მესამე ღონისძიების (ლშ -III)-ის თანმდევი ჰოლანდიური გრანტი 5,835.3 ათასი ლარი;

- მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორთა გრანტები ინვესტიციური პროექტების დასაფინანსებლად – 77.1 მლნ ლარი;

- “სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდამჭერი” პროექტის (I , შI , I , თ) ფარგლებში ჩარიცხული გრანტი – 5,3 მლნ ლარი;

- მიმდინარე დანიშნულების გრანტები (თბილისის მერიის გრანტი) – 107.0 მლნ ლარი;

- სხვა გრანტები 8.6 მლნ ლარი (0.1 მლნ ლარი შეცდომით არის ჩარიცხული).

კრედიტები

საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული კრედიტების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 166.2 მლნ ლარი, მათ შორის:

- საინვესტიციო პროექტების დაფინანსება – 132.5 მლნ ლარი;

- მსოფლიო ბანკის კრედიტი – 33.7 მლნ ლარი;

საინვესტიციო პროექტების ფარგლებში ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა სოციალური სფეროს (ჯანდაცვა, განათლება), ენერჯეტიკის, გზების, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის პროექტების განხორციელებას.

ჯანდაცვის სფეროში დასრულდა 86 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის რეაბილიტაცია/მშენებლობა იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონების სოფლებში (აქედან, 25 აჭარის რეგიონში, 39 იმერეთის რეგიონში და 22 შიდა ქართლში); დასრულდა ქ. ქობულეთის

პოლიკლინიკისა და რაიონული ლაბორატორიის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს აღჭურვა; განხორციელდა სამედიცინო დახმარების უტილიზაციისა და ჯანდაცვის დანახარჯების შესახებ შინამეურნეობების კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები; დასრულდა ქუთაისის პერინატალური ცენტრის რეაბილიტაცია და აღჭურვა; დასრულდა რეგიონული ტრენინგ ცენტრების აღჭურვა და ქ. ქობულეთის პოლიკლინიკისა და რაიონული ლაბორატორიის რეაბილიტაცია/აღჭურვა. საოჯახო მედიცინაში მზადება დაასრულა 200 ექიმმა და ექთანმა იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონებიდან. მზადებას აგრძელებს 295 ექიმი და ექთანი. დასრულდა დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზის ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ენერგეტიკის სფეროში სარეგულაციის სიგნალების მოპოვების მიზნით მომზადდა პროექტი თ-1-ში შემავალი ქვესადგურებისათვის (10 ქვესადგური). შჩ პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში დასრულდა სარემონტო სამუშაოები 220კვ ელექტროგადამცემ ხაზებზე “ლიახვი”, “აჯამეთი-2”, “კოლხიდა-1” და “სურამი”. გრძელდებოდა მოსამზადებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები 220 კვ ელექტროგადამცემ ხაზებზე “კოდა-1, 2”, “დიდგორი-1, 2”, „არაგვი“, ნაბთლული“, „ლომთაგორა“, „კოლხიდა-1“; დასრულებულია ქვესადგურების ქსანი-500, ლისი-220, მარნეული-220 მოდელირება; გრძელდებოდა მოსამზადებელი სამუშაოები ქვესადგურებში: „ქსანი-500“, „დიდუბე-220“, „ლისი“, „გლდანი“, „რუსთავი-220“ და „მარნეული-220“. გრძელდებოდა მოსამზადებელი სამუშაოები 500-220 კვ ქვესადგურებში, დაიწყო შჩ პროგრამის განხორციელება ეგხ „არაგვზე“. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დაკიდების პროცესი დასრულდა ეგხ „დიდუბე 220“-ზე და ნაწილობრივ შესრულდა ეგხ „დიდგორი 220“-ზე, ეგხ „სურამი 220“-ზე. ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 177 ახალი აღრიცხვის კვანძი, ქს „გარდაბანში“ დამონტაჟდა 16 აღრიცხვის კვანძი ახალი 3 ტიპის მრიცხველით, ამათგან 5 ახალი წრედებით. ქს „საგარეჯო-1“-ში აღრიცხვის მოწესრიგებისათვის განაწილებულ და გადაცემულ იქნა საჭირო მატერიალური საშუალებები და დამონტაჟდა აღრიცხვის 13

ახალი კვანძის წრედი. ინტერფეისის პლატა შეეცვალა 24 მრიცხველს. „საქსტანდარტში“ დამოწმდა ინტერფეისის პლატაშეცვლილი 23 ცალი „ევროალფა“ მრიცხველი, რომლებიც განაწილდა ქს „ბათუმი-220“-ში, „ზუგდიდი-220“-ში 10 კვ ფიდერებზე დასამონტაჟებლად. სასისტემო 330 კვ ეგზ „გარდაბანზე“ დამონტაჟდა მოდემიანი მრიცხველი. დამტკიცდა ახალი სქემა ატს-ისათვის. გადაწყდა ანასონიც-ის ძველი ატს-ის მოხსნა და ახალი ში შ-ის ატს-ის დამონტაჟება. ხორციელდება მაღალსიხშირული კომუნიკაციის მოწყობილობების (კონდენსატორებისა და დროსელების) შესყიდვა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) სათაო ოფისში სარდაფისა და ქსანში სარეზერვო სადისპეტჩეროს რეკონსტრუქცია; შეყვანილი იქნა მუშაობაში ახალი აღრიცხვის კვანძები ქს „ქსანი-500“-ში 500 კვ რექტორზე და გადამცემ ხაზებზე „ქართლი-1 და 2“; დამონტაჟდა ორი მრიცხველი ქს „გარდაბანი-500“-ში 220 კვ ეგზ „ალავერდზე“ და ქს „საგარეჯო-1“-ში 110 კვ ეგზ „უდაბნოზე; ქს „ლისში“ 110კვ ყველა მინაერთზე ძაბვის წრედების კვება გადართული იქნა რაჩ-ის ახალ კარადებში; დამონტაჟდა ხუთი ცალი ახალი 3 ტიპის მრიცხველი ქვესადგურებში: „დ. ბათუმი“ - 3 ცალი, ქს „რუსთავი-220“ - 2; ქს „გარდაბანში“ დამონტაჟებულია მრიცხველებისა და „რაჩ“-ის კარადები, ჩაიღო ძაბვისა და დენური კაბელები, მიმდინაერეობს მინაერთებზე მრიცხველების მონტაჟი; ქს „გურჯაანი-220“-ში შემოწმდა და ექსპლუატაციაში შევიდა 8 მრიცხველი; ქს „გორი-220“-ში შემოწმდა 13 მრიცხველი, ექსპლუატაციაში შევიდა - 2 მრიცხველი; ქს „საშური-220“-ში შემოწმდა 15 მრიცხველი, ექსპლუატაციაში შევიდა - 3 მრიცხველი; ქს „დიდ ზესტაფონში“ შემოწმდა და ექსპლუატაციაში შევიდა 3 მრიცხველი; ქს „დიდ ქუთაისში“ შემოწმდა და ექსპლუატაციაში შევიდა - 14 მრიცხველი; ზესტაფონის 500კვ ქვესადგურის რეაბილიტაციის ფარგლებში დამთავრდა პროექტით გათვალისწინებული 500/220/110კვ აქტივების რეაბილიტაციის ყველა სამუშაო და სსე-სა და კონტრაქტორს შორის 2007 წლის იანვარში გაფორმდა საბოლოო მოღება-ჩაბარების აქტები.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე დასრულდა საყრდენი ჯვართავის აწყობა, ჰორიზონტალური რეგულირება და საყრდენი საკისრების მონტაჟი; როტორის ღერძის ცენტრირება; პირველი დატრიალების აზომვები და რეგულირება; გენერატორის და ტურბინის შეწყვილება.

„ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში დასრულდა ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის ოთხ უბანზე (მდინარე არყალის გადაკვეთა; მენესოს დამეწყვილი უბანი; ნანიანის დამეწყვილი უბანი; ზოტიკიანთკარის მდინარის გადაკვეთა) სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს სამშენებლო უბნების მოწესრიგების/აღდგენის სამუშაოები. მომზადდა სამუშაოთა აღწერილობა საქართველოში არსებული გეოთერმული წყლების და ქარის რესურსების შესასწავლად.

გარემოს დაცვის პროექტების ფარგლებში დასრულდა დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ოფისის რეკონსტრუქცია; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და აზერბაიჯანის ეკოლოგიის სამინისტროს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოში ქურციკის შემოყვანის თაობაზე ერთობლივი პროექტის - „ქურციკის რეინტროდუქცია საქართველოსა და აზერბაიჯანში ისტორიულ ადგილსამყოფელებში“ ფარგლებში.

შესრულებულია სამუშაოთა მოცულობის 97% დენდროპარკში, ღუშეთის, საგარეჯოს და ბოლნისის სატყეო მეურნეობებში. 80% მოცულობის სამუშაოები განხორციელდა ამბროლაურის, ლენტეხის და ხაიშის სატყეო მეურნეობებში. სართიჭაღის სანერგის სამუშაოები განხორციელდა 94%-ით. დაწყებულია სამუშაოები სატყეო დეპარტამენტის წალენჯიხის, ხაშურის და ახალციხის რაიონული ოფისების მშენებლობის მიზნით. სატყეო მეურნეობის რაიონული ოფისებისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკის 48 კომპლექტი და 60 შ-ის კომპლექტი.

დასრულდა აეროფოტოსურათების დამუშავება (ორთოფოტოსურათების დამზადება) საქართველოს ტყის ფონდის 12,000 კვადრატული კილომეტრის ფართობისათვის, ტყის ინვენტარიზაციის მონაცემების

დამუშავების კომპიუტერული პროგრამის შედგენა, საქართველოს ტყის ფონდის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ზონირება, ინვენტარიზაციის სამუშაოები ამბროლაურის, ბორჯომ/ბაკურიანის, ცაგერი/ლენტეხის და აჭარის რეგიონებში. ინვენტარიზაციის ჩასატარებლად მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის და ქვემო ქართლის სატყეო მეურნეობებში.

შემუშავდა 2007 წლის განახლებული შესყიდვების გეგმა, რომელიც მოიცავს სატყეო დეპარტამენტისა და გარემოს დაცვის ინსპექციის სამსახურების ინსტიტუციონალური გაძლიერებისათვის საჭირო რაიონული ოფისების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მაღალი გამავლობის ავტომანქანების და ხელსაწყო/იარაღების (დურბინები, კარვები, კორომების სიხშირძომები, ხეების სიმაღლმზომები) შეძენას, ტყის მავნებლებთან ბრძოლის და მონიტორინგის სისტემის შესაქმნელად საჭირო აღჭურვას.

დამთავრდა სატენდერო პროცედურა და გაფორმებულ იქნა შესაბამისი ხელშეკრულებები „საქართველოს ტყის კოდექსი“-ს პროექტის მომზადების მიზნით.

მომზადებულია მდინარე ალაზნის ჭალის ტყის ეკოსისტემებისა და დავით გარეჯის დაცული ლანდშაფტის მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტების საბოლოო ვერსიების კანონპროექტი, რომელიც მზადაა საჯაროდ განხილვისათვის.

დასრულდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დედოფლისწყაროს ოფისის რეკონსტრუქცია, ავეჯით მოწყობა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა.

მომზადდა ვაშლოვანის, ლაგოდეხის, თუშეთის დაცული ტერიტორიების შესახებ ბუკლეტები და რუკები; მომზადდა სარეკლამო ვიდეო-როლები დაცული ტერიტორიების შესახებ;

მიმდინარეობს მცირე გრანტების პროგრამით დაფინანსებული პროექტების დანერგვა. 40 მიკროპროექტით გათვალისწინებული საქმიანობები დასრულებულია. მოეწყო ოჯახური სასტუმროები, ვითარდება ეკოტურიზმის შესაძლებლობები, განხორციელდა ხილის

გადამამუშავებელი საწარმოს რეაბილიტაცია, იშვიათი და ტრადიციული ჯიშების გამრავლება, ეკოლოგიურად სუფთა მეფუტკრეობის განვითარება, ტრადიციული საკვების წარმოების ტექნოლოგიის კონსერვაციისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, კულტურულ-ისტორიული და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (ხიდები, ბილიკები, წყალმომარაგების სისტემები), უნარჩენო წარმოების განვითარების ხელშემწყობა (ნახერხის ბრიკეტირება საწვავად), მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და სხვა.

სოფლის მეურნეობის სფეროში დასრულდა თელავის რაიონში წყალდიდობით დაზიანებული ნაგებობების აღდგენა ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობაზე, რომელიც მოიცავს კაშხლის სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში დანგრეული მარჯვენა საყრდენი და წყალსაგდებთან დაზიანებული შემაერთებელი კედლების რეაბილიტაციას; მიმდინარეობს: ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის III ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს II რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციას 2304 ჰა ფართობზე (გურჯაანის რაიონი, სოფლები: შაშიანი, ვაზისუბანი, ველისციხე, ჭანდარი); ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის IV ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს: მაგისტრალური არხის 46,3 კმ. მონაკვეთის და II რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციას 2763 ჰა ფართობზე (თელავის და გურჯაანის რაიონები, სოფლები: აკურა, გურჯაანი, კარდანახი); წყალდიდობით დაზიანებული ნაგებობების აღდგენა ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის (თელავის რაიონი) სათავე ნაგებობაზე, რომელიც მოიცავს კაშხლის სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში დანგრეული მარჯვენა საყრდენი და წყალსაგდებთან დაზიანებული შემაერთებელი კედლების რეაბილიტაციას; ტაშისკარის სარწყავი სისტემის III ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს მაგისტრალური არხის 11 კმ. უბნის და II რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციას 2132 ჰა ფართობზე (ქარელის რაიონი, სოფლები: მოხისი, ფცა, აბისი, შაქშაქეთი, ბრეთა, დედოფლის მინდორი); ტაშისკარის სარწყავი სისტემის IV ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს მაგისტრალური

არხის 13.6 კმ. უბნის და II რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციას 2156 ჰა ფართობზე (ქარელის რაიონი, სოფლები: ბრეთა, სალოლაშენი, ბებნისი, რუისი). დაიწყო მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის საქარის (ვაჭვეის) საცდელ-საკონსულტაციო ცენტრის მიმდებარე გზისა და ნაკვეთების შემოღობვის (სულ 5 ჰა) სამუშაოები. დასრულდა ინსტიტუტის შენობის ავტომატური სიგნალიზაციის დამონტაჟება. დასრულდა ინსტიტუტისთვის ელექტრო უწყვეტი კვების წყაროების შექმნა და დამონტაჟება. დასრულდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის თელავის, სკრისა და საქარის (ვაჭვეის) საცდელ-საკონსულტაციო ცენტრების მშენებლობა; დასრულებულია და ინსტიტუტისათვის გადაცემულია ლაბორატორიისათვის საჭირო ლაბორატორიული ავეჯი; მომზადებულია სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსის საბოლოო ვარიანტი, რომელიც შეთანხმებულია სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების მიერ; დასრულდა 30 ბიოგაზის დანადგარის მშენებლობა ლანჩხუთის, ოზურგეთის, ხობის, ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონებში; აჭარის რეგიონში გაკეთდა 10მ³ მოცულობის 20 ცალი მტკიცეგუმბათიანი ბიოგაზის დანადგარის (შეთავსებული ბიომასის საცავით) მშენებლობა; დასრულდა მუშაობა დასავლეთ საქართველოს სათიბ-საძოვრების რესურსსარგებლობის კომპლექსურ გამოკვლევაზე. გამოკვლევა მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს სათიბ-საძოვრების ექსპლუატაციის არსებული ფორმების, მცენარეული საფარის სახეობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის, ველური ფაუნის, ნიადაგის ეროზიისა და დამეწყვრის პროცესების დინამიკის შესწავლას და საძოვრების ეკოლოგიურად მდგრადი მართვის რეკომენდაციების შემუშავებას; აჭარაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ციტრუსების ექსპორტიორ კომპანია “სხალთას” გაეწია დახმარება და შექმნილ იქნა 26313 ცალი თანამედროვე ევროპული სტანდარტის შესაფუთი ყუთი, რომლითაც ქართული მანდარინი პირველად გავიდა ექსპორტზე. საცდელი პარტია ციტრუსისა ახალი შეფუთვით შევიდა უზბეკეთის ბაზარზე, სადაც გაიყიდა ძალიან სწრაფად და საკმაოდ მაღალ

ფასად, აგრეთვე ახალი შეფუთვით მანდარინი შევიდა უკრაინის ბაზრის მაღალ სეგმენტზე – სუპერმარკეტების ქსელში. აღნიშნული საცდელი პროექტის შედეგად, ქართველმა ექსპორტიორებმა მიიღეს უფრო დიდი დაკვეთები მომავალი სეზონისათვის. დახმარება გაეწია ღვინის სადგეუსტაციო კომისიას. კერძოდ, აღნიშნული კომისიისათვის შეძენილ იქნა საოფისე ტექნიკა, კონდიციონერები და ავეჯი; დაფინანსდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური ცენტრების ჩამოყალიბება, მიწისა და უძრავი ქონების რეგისტრაციისა და მიწის კადასტრის მონაცემთა ბაზების ინტეგრაცია, საინფორმაციო პროგრამების განვითარება და მოძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის შექმნა/განვითარება, რომელიც პირდაპირ კავშირშია საკრედიტო საქმიანობასთან. მონაწილე კომერციული ბანკების მიერ პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია ორი ქვე-პროექტი (სოკოს წარმოება - 47,547.90 აშშ დოლარი და ვენახის გაშენება – 81,000 აშშ დოლარი); ფრინველის გრიპის საწინააღმდეგოდ მომზადდა შესასყიდი დამცავი საშუალებების (სადეზინფექციო ხსნარი, დამცავი ტანსაცმელი, ხელთათმანები, და ა.შ.) ტექნიკური სპეციფიკაცია და შესყიდულ იქნა (შესყიდვა დახლიდან) შემდეგი საშუალებები:

- სადეზინფექციო ხსნარი – 2000ლ;
- დამცავი ტანსაცმელი - 500ც;
- ერთჯერადი დამცავი ტანსაცმელი – 1000ც;
- მრავალჯერადი ლატექსის ხელთათმანი – 1000ც;
- ერთჯერადი ქირურგიული ხელთათმანი – 5000ც;
- პლასტიკური ტომრები – 5000;
- დამცავი ნიღბები – 10000ც;
- დამცავი სათვალეები – 5000ც;
- ერთჯერადი შპრიცები 5 მგ-იანი – 5000ც;
- ერთჯერადი შპრიცები 10 მგ-იანი – 5000ც.

აგრეთვე საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის გზით დამატებით შეძენილი იქნა 13 ტონა სადეზინფექციო ხსნარი, დამცავი კომბინიზონები – 4000 ცალი, დამცავი ლაბადა და ჩექმა – 500 ც, რესპირატორები –

1000 ცალი, ხელთათმასნი – 4000, პლასტიკის პარტი – 5000 ც, სხვადასხვა ზომია ჩანთა კონტერინერები – 200 ცალი.

გზების პროექტების ფარგლებში დასრულდა თბილისი-სენაკი-ლესელიძე კმ43-კმ55 ალაიანი-იგოეთის მონაკვეთის პირველი რიგის სამუშაოები (ახალი ორზოლიანი გზის მშენებლობა) და დაიწყო არსებული გზის რეაბილიტაცია; რეაბილიტაცია ჩაუტარდა:

- თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზის 22 კმ-იან მონაკვეთს;
- ხევსურთსოფელი-სიონის საავტომობილო გზის 15.0 კმ-იან მონაკვეთს
- საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის 72.4 კმ-იან მონაკვეთს;
- ოზურგეთი-ნატანები-წვერმარალას საავტომობილო გზის 22,2 კმ-იან მონაკვეთს;
- თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდას გზის 18 კმ-იან მონაკვეთს;
- ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზის 32,35 კმ-იან მონაკვეთს
- თერჯოლა-ტყიბული გზის 29 კმ-იან მონაკვეთს;
- რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზის საავტომობილო გზის 19 კმ-იან მონაკვეთს;
- ორბეთი-აბრამეთის საავტომობილო გზის 9.5 კმ-იან მონაკვეთს.
- მათხოჯი-ხიდი-გირდი-კინჩხის საავტომობილო გზის 10.5 კმ-იან მონაკვეთს;
- ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის საავტომობილო გზის 10.0 კმ-იან მონაკვეთს;
- ხაშური-ახალციხე- ვალე (თურქეთის საზღვარი) 1 კმ-იან მონაკვეთს;

შესყიდულ იქნა – ღერძზე დატვირთვის სასწორები, კომპიუტერული ტექნიკა საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის, საოფისე ავეჯი, რადარები საპატრულო პოლიციისათვის, მსუბუქი ავტომანქნები და IღI-ს

მოწყობილობა (გზის პროფილის უსწორმასწორობის საზომი ინტერნაციონალ ლოუგჰნესს ინდექს)

განათლების სფეროში დამტკიცდა 2007-2008 სასწავლო წლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი ვარიანტი; ახალი საათობრივი ბაღე და საგნობრივი სტანდარტები დამტკიცდა მე-2, მე-8 და მე-11 კლასებისთვის; განახლდა ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირება საქართველოს 100 ქართულენოვან სკოლაში მე-3, მე-9 კლასებში და 30 არაქართულენოვან სკოლაში მე-2, მე-8 და მე-11 კლასებში; დასრულდა პირველი, მე-7, მე-10 კლასების სახელმძღვანელოების თარგმანი რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე. აგვისტოდან დაიწყო დანარჩენი კლასების სახელმძღვანელოების თარგმანი ზემოაღნიშნულ ენებზე; მიმდინარეობს სასკოლო დაფების შესყიდვა "იაკობ გოგებაშვილის" პროგრამაში ჩართული სარეაბილიტაციო სკოლებისათვის, ასევე კონფლიქტის ზონაში განლაგებული სკოლებისათვის; განხორციელდა ტესტების შესყიდვა და განბაჟება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის; დამოუკიდებელმა ექსპერტმა დაიწყო განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის პირველი ფაზის საბოლოო შეფასება; მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მზადება უ. ჩხეიძის №8-ში განთავსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის;

სოციალური ინვესტიციების პირველ () და მეორე პროექტების ფარგლებში (ში II) საანგარიშო პერიოდში დასრულდა თბილისის მე-9 სკოლის მშენებლობა და 87-ე სკოლის შენობის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასრულდა სოციალური ინვესტიციების II პროექტი (დასრულების თარიღი 2007 წლის 31 დეკემბერი). მთლიანად, პროექტის ფარგლებში შესრულებულ იქნა 290 მიკროპროექტი. საანგარიშო პერიოდში დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 54 ობიექტზე (მათ შორის გარდამავალი ობიექტები 2006 წლიდან). აქედან, 46 მიკროპროექტი დაფინანსებულ იქნა მსოფლიო

ბანკის კრედიტის თანხებით, ხოლო 8 ობიექტი გერმანიის რეკონსტრუქციისა საკრედიტო ბანკის კრედიტით.

ასევე დასრულდა ღუშეთის რაიონის დაბა ფასანაურის კანალიზაციის პროექტი, გურჯაანის და მარტვილის რაიონის ბაღდა სკურდას წყალსადენის რეაბილიტაციის პროექტები.

შეძენილ იქნა სასკოლო ინვენტარი (მერხები, სკამები, დაფები) ახალციხის რაიონის სოფლების სვირის და კლდის, ასევე ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორემას საჯარო სკოლისათვის.

2007 წელს დასრულებული მიკროპროექტების ჩამონათვალი ერთვის ცხრილის სახით (დანართი №9).

ფოთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გაყვანილია 4.2 კმ სიგრძის წყალსადენი; დასრულებულია საქლორატოროს მშენებლობა; განხორციელების პროცესშია სათავე ნაგებობის მშენებლობა; შიდა-საქალაქო ქსელში გაყვანილია 15 კმ პოლიეთილენის მილები; დასრულდა 8 ჭის მშენებლობა; განხორციელდა სარქველების მონტაჟი (13 ცალი).

- გარდა ზემოაღნიშნულისა **სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერისა და “სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდამჭერი”** პროექტის ფარგლებში დასრულდა ფინანსთა სამინისტროს ახალი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მთავრობის კანცელარიაში დასრულდა ახალი ლიფტების მონტაჟი; მოეწყო ახალი კომპუტერული ქსელი, მთავრობის კანცელარიაში დაინერგა ახალი პროგრამული უზრუნველყოფა დოკუმენტების ბრუნვის და სამთავრობო სხდომების ავტომატიზაციისათვის; გაფორმდა ხელშეკრულება ადგილობრივ საკონსულტაციო ფირმასთან “ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტის გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოანგარიშების ფორმულის გადაამუშავება, სრულყოფის” მოსამზადებლად; გაფორმდა ხელშეკრულება ადგილობრივ საკონსულტაციო ფირმასთან “800 საბიუჯეტო ორგანიზაციის სწავლება ახალ საბიუჯეტო კლასიფიკაციაში”. გამოიცა შ

2001-ის სახელმძღვანელო, ბიუჯეტის პოპულარული ვერსია, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვის ანგარიში; საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, კონტროლის პალატის წარმომადგენლებისათვის და პარლამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა უ 2001-ის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით;

საანგარიშო პერიოდში დონორების მიერ დაფინანსებული ზემოაღნიშნული ინვესტიციური პროექტების გარდა, 2007 წლის 10 ივლისს სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშზე ჩაირიცხა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ სიღარიბის შემცირების ხელშემწყობი მესამე ღონისძიების (ლშ -III) ფარგლებში გამოყოფილი გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი 20,219.3 ათასი აშშ დოლარი, რამაც კონვერტაციის შემდეგ შეადგინა 33,715.7 ათასი ლარი.